საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 6 მაისის
დადგენილება № 450

“საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა
და განაწილების ინსტრუქციის” ცვლილებათა შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეიცვალოს “საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციის” მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-7 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი, მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.1 ბაკალავრიატის სწავლების პირველ წელს ჩამოყალიბებულ აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს, როგორც წესი, არანაკლებ 20-ისა და არა უმეტეს 30-ისა ჩარიცხული კონტინგენტის მიხედვით; იგივე წესით მოხდეს მობილობის შედეგად ჩამოყალიბებული აკადემიური ჯგუფების ფორმირება;

4.7.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეცკურსის/კურსების აკადემიური ჯგუფი შედგება 20-25 სტუდენტისგან (როცა ამის შესაძლებლობა არის), რომელიც ფორმირდება ფაკულტეტის სხვადასხვა მონათესავე მიმართულებების დოქტორანტებისგან. სპეცკურსს/კურსებს ეთმობა 15 კრედიტი ჯამური 99 საკონტაქტო საათის ოდენობით ერთ აკადემიურ ჯგუფზე, რომელიც სრულდება სწავლების არა უმეტეს პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.

5.3 ვაკანტური (საათობრივი) აკადემიური დატვირთვის საათები პირველ რიგში საათობრივი ანაზღაურების ნიხრით ნაწილდება აკადემიურ პერსონალზე (მისი თანხმობის შემთხვევაში). საათობრივ დატვირთვაზე შეიძლება აგრეთვე სხვა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მოწვევა;

5.4 აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის ჯამური აკადემიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე